ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია.

შიდა აუდიტის სამსახური

2021 წლის ანგარიში.

1. <u>შესავალი.</u>

ანგარიში მოიცავს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს.

2. <u>მოკლე მიმოხილვა.</u>

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია; 1.სამსახურის დებულება; 2.საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ''; 3.შიდა აუდიტის მეთოდოლოგია; 4.შიდა აუდიტის ეთიკის კოდექსი; 5. შიდა აუდიტის სტანდარტები;
შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურა, ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების მიხედვით.

3. <u>განხორციელებული ღონისძიებები.</u>

2021 წელს ქვეყანაში არსებული COVID-19-ს პანდემიის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების და რეგულაციების გათვალისწინებით 2021წლის განმავლობაში განხორციელდა 3 გეგმიური შიდა აუდიტორული შემოწმება და ერთი არაგეგმიური შემოწმება (ბრძანება № ბ9292212301), ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით.

№	შიდა აუდიტის ობიექტი	აუდიტის სახე	შემოწმების პერიოდი	შესამოწმებელი პერიოდი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.	შესაბამისობის აუდიტი	1-2 კვარტალი	01.01.2019წ.-ან 31.12.2020წ.-დე	ანგარიში დასრულებულია. ბრძანება №3642/ს
2	ა.(ა)ი.პ. ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული საქმეთა განვითარების ცენტრი''	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	2-3 კვარტალი	01.01.2019წ.-ან 31.12.2020წ.-დე	ანგარიში დასრულებულია. ბრძანება №3642/ს
3	ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლების გაერთიანება''	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	4 კვარტალი	01.01.2020წ.-ან 31.12.2020წ.-დე	ანგარიში დასრულებულია. ბრძანება № ბ92 92212427 30.08.2021წ.
4	ა.(ა)ი.პ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური'' (ს/კ 233107081)	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	2021 წლის 9-10თვე	01.01.2021წ.-ან 31.06.2021წ.-დე	ბრძანება #ბ9292212301 მიხედვით. ანგარიში დასრულებულია

4. <u>შედეგები.</u>

შიდა აუდიტორული შემოწმებების შედეგად აუდიტის ობიექტებს წარედგინათ შენიშვნები და რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე.

1). *ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.*

1. შიდა კონტროლის მექანიზმების მოქმედების საკითხი;
2. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების პუნქტების შესრულების საკითხი;

2). ა.(ა).ი.პ. ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული საქმეთა განვითარების ცენტრი"

1.ქონების ინვენტარიზაციის საკითხი

2.განხორციელებული შესყიდვებზე ჩატარებული საბაზრო კვლევების საკითხი;

3). ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლების გაერთიანება";

1. განხორციელებული შესყიდვების საკითხი;
2. შესყიდვებზე ჩატარებული საბაზრო კვლევების საკითხი;.

4). ა(ა)ი.პ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური";

1. ინვენტარიზაციის დოკუმენტაციით აღიარებული ქონების საკითხი.
2. სახელმწიფო პროგრამით მიღებული მედიკამენტების გაწერა – განაწილების საკითხი.
3. სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული თანხების განაწილების საკითხი.

5). სასწავლო ღონისძიებები;

2021წელს შიდა აუდიტის სამსახურის სპეციალისტებმა დისტანციურ ფორმატში (ვიდეო-პლატფორმა) ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე და ვებინარებზე გაეცნენ და შეისწავლეს შემდეგი თემები: 1. რისკის მართვის სისტემა საქართველოს საჯარო სექტორში; 2. რისკის მართვის ღონისძიებები; 3. მარწმუნებელი მომსახურების გამწევთა სქემის შემუშავება და კოორდინაცია; 4. შიდა აუდიტი და საკონსულტაციო საქმიანობა; 5.შიდა აუდიტის წლიური ანგარიშის გამოწვევები და პრაქტიკული რჩევები; 6.შიდა აუდიტი: დამოუკიდებლობა და ობიექტურობა; 7. აუდიტის კომიტეტის როლი;

უფროსი სპეციალისტი შიდა
აუდიტის საკითხებში: /ა.ლობჟანიძე./